პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 26 (223) 20 სექტემბერი 1963 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი

397. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის რკინიგზის უბანზე პოლონეთის სატრანზიტო მატარებლების მიმოსვლის გამო დადებული საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.
398. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სადენიანი სატელეფონო კავშირის დამყარების და არსებული რადიოტელეგრაფის სამსახურის თაობაზე დადებული საბჭოთა კავშირ-თურქეთის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

#### განყოფილება მეორე

399. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
400. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტ „ჩერეპოვეცმეტალურგსტროის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
401. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის შესახებ, რომ მიენიჭოთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მუშაკებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობისა და ათვისების დროს.
402. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ბ. მ. პონტეკორვოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
403. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ი. მ. გელფანდის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
404. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. თ. ეშტოკინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
405. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ბ. ე. პილნიკის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
406. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. გ. კრავჩენკოს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

407. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. ბ. ჩაკოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

408. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დრამატურგ ვ. ს. როზოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

409. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უნგრეთის მოქალაქეების იმრე სანტოს და იშტვან ტოკაჩის სამამულო ომის II ხარისხის ორდენებით და უნგრეთის მოქალაქის იმრენე სანტოს მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

# ნაწილი II

## განყოფილება პირველი

410. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.

411. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

412. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

## განყოფილება მეორე

413. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამია“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

414. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთის „ლენინსკოე ზნამია“ მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

415. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. დ. კობახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი I

### განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**397 სსრ კავშირის რკინიგზის უბანზე პოლონეთის სატრანზიტო მატარებლების მიმოსვლის გამო დადებული საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის რკინიგზის უბანზე პოლონეთის სატრანზიტო მატარებლების მიმოსვლის გამო, ხელმოწერილი მოსკოვში 1963 წლის 22 აპრილს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 6 სექტემბერი.
№ 1663-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**398 სადენიანი სატელეფონო კავშირის დამყარების და არსებული რადიოტელეგრაფის სამსახურის თაობაზე დადებული საბჭოთა კავშირ-თურქეთის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სადენიანი სატელეფონო კავშირის დამყარებისა და არსებული რადიოტელეგრაფის სამსახურის შესახებ, ხელმოწერილი ანკარაში 1962 წლის 9 ივნისს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 10 სექტემბერი.
№ 1675-VI.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**399** **საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი შვილი:

1. მახო ახმედის ასულ **აბაშიძეს** — კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ წევრს, აჭარის ასსრ, ხულოს რაიონი.

2. ზარენიკ მისაკის ასულ **დანდანიანს** — დიასახლისს, თეთრი წყაროს რაიონის სოფელი აშკალა.

3. კეკელა ზაქარიას ასულ **ნათენაძეს** — მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, ახალქალაქის რაიონი.

4. ვესილე დურსუნის ასულ **ფარტენაძეს** — კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ ჩაქვის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1963 წლის 5 სექტემბერი.
№ 1652-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**400** **რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტ „ჩერეპოვეცმეტალურგსტროის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და სამშენებლო წარმოების დარგში მიღწევებისათვის რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროს **სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი „ჩერეპოვეცმეტალურგსტროი“** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1963 წლის 5 სექტემბერი.
№ 1655-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 401 იმის შესახებ, რომ მიენიჭოთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მუშაკებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობისა და ათვისების დროს

ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობისა და ათვისების დროს გაწეული თავდადებული შრომისა და მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**:

1. ვასილ თევდორეს ძე **ვალუევს** — ტრესტ „ჩერეპოვეცმეტალურგსტროის“ სამშენებლო სამმართველო „ექსკავაციას“ ექსკავატორის მემანქანეს.

2. ლეონიდე ივანეს ძე **გლუხოვს** — ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეს.

3. ალექსანდრე სტეფანეს ძე **შარიპინს** — ტრესტ „სევზაპელექტრომონტაჟის“ ჩერეპოვეცის სამონტაჟო სამმართველოს ელექტრომონტიორთა ბრიგადირს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 5 სექტემბერი.
№ 1656-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 402 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ბ. მ. პონტეკორვოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ფიზიკის დარგში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბრუნო მაქსიმეს ძე პონტეკორვო დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 6 სექტემბერი.
№ 1660-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 403 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ი. მ. გელფანდის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მათემატიკური მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი იზრაილ მოსეს ძე **გელფანდი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 6 სექტემბერი.
№ 1661-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 404 ამხ. ა. თ. უტკინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით სკკპ კემეროვის სამრეწველო ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ათანასე თევდორეს ძე **უტკინი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 6 სექტემბერი.
№ 1662-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 405 მწერალ ბ. ე. პილნიკის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი ბორის ეფრემის ძე **პილნიკი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის"** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 7 სექტემბერი.
№ 1665-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 406 ამხ. ლ. გ. კრავჩენკოს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით კიროვოგრადის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამრეწველო) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ლეონიდე გაბრიელის ძე **კრავჩენკო** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 7 სექტემბერი.
№ 1666-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 407 მწერალ ა. ბ. ჩაკოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი ალექსანდრე ბორისის ძე **ჩაკოვსკი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 9 სექტემბერი.
№ 1674-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 408 დრამატურგ ვ. ს. როზოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით დრამატურგი ვიქტორ სერგის ძე **როზოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 10 სექტემბერი.
№ 1676-VI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 409 უნგრეთის მოქალაქეების იმრე სანტოს და იშტვან ტოკაჩის სამამულო ომის II ხარისხის ორდენებით და უნგრეთის მოქალაქის იმრენე სანტოს მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთაგან უნგრეთის ტერიტორიის გათავისუფლებისათვის ბრძოლების პერიოდში საბჭოთა მეომრის სიცოცხლის გადასარჩენად გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობის გამო დაჯილდოვდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქენი:

**სამამულო ომის II ხარისხის ორდენით**

1. იმრე **სანტო.**
2. იშტვან **ტოკაჩი.**

**მედლით „მამაცობისათვის“**

იმრენე **სანტო.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 14 სექტემბერი.
№ 1682-VI.

## განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

შუა ურალის სახალხო მეურნეობის საბჭოს პერვოურალსკის ახალი მილების ქარხანაში უნაკერო მილების უწყვეტი გლინვის საამქროს მშენებლობის, დაპროექტებისა და მოწყობილობის ათვისების დროს მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სამშენებლო, სამონტაჟო, საპროექტო და სხვა ორგანიზაციათა 148 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომელთაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ტრესტ „ვოსტოკმეტალურგმონტაჟის“ პერვოურალსკის სამონტაჟო სამმართველოს ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირი ა. ს. არდაშევი, ტრესტ „ურალსპეცსტროის“ პერვოურალსკის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ვ. თ. გორიდოვეცი, ტრესტ „ურალელექტრომონტაჟის“ სვერდლოვსკის პირველი სამონტაჟო სამმართველოს ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირი ს. გ. კობზევი, ტრესტ „ურალტიაჟტრუბსტროის“ პერვოურალსკის № 1 სამშენებლო სამმართველოს ხუროთა ბრიგადირი ვ. ა. რუსეცკი, ტრესტ „ურალსტალკონსტრუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის“ პერვოურალსკის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ა. ტ. ტრუსოვი, ტრესტ „ურალტიაჟტრუბსტროის“ პერვოურალსკის № 2 სამშენებლო სამმართველოს კალატოზთა ბრიგადირი მ. ე. ტუზოვი, ტრესტ „ურალტიაჟტრუბსტროის“ პერვოურალსკის № 2 სამშენებლო სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირი პ. ვ. შანცევი და პერვოურალსკის ახალი მილების ქარხნის დირექტორის მოადგილე ვ. თ. შპინევი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 23 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 46, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 35 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 36 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

*

* *

ჩრდილო-დასავლეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს კოტლასის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის პირველი რიგის სიმძლავრეთა მშენებლობისა და ათვისების დროს მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 90 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან ტრესტ „კოტლასბუმსტროის“ № 2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კალატოზთა ბრიგადირი პ. ი. საზონოვი და ტრესტ „კოტლასბუმსტროის“ მმართველი მ. ხ. საფიანი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 10 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 26, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 21 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 31 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

*

* *

ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობისა და ათვისების დავალებების წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 347 მუშაკი, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ტრესტ „ჩერეპოვეცმეტალურგსტროის“ სამშენებლო სამმართველო „პროკატსტროის“ ხუროთა ბრიგადირი მ. მ. აფანასიევი, ტრესტ „მეტალურგპროკატმონტაჟის“ ჩერეპოვეცის მექანიკურ-სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირი ი. ი. ძელტონოჟენკო, ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე ღუმელის ოსტატი ა. ვ. კორევინი, ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის მომჭიმავი საამქროს უფ-

პარლამენტის ბიბლიოთეკა

როსი მემანქანე-ოპერატორი მ. ა. ნეხოროშევი, ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე ნ. ე. ჩუდინოვი და სხვები, სულ 15 კაცი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 54 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 117, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 83 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 78 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**410** **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 9 სექტემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**411** **ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. მამია ამბერკის ძე **მეგრელიშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 9 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 412 საქართველოს სსრ მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდნენ საქართველოს სსრ მინისტრის მოვალეობისაგან:

**ლორთქიფანიძე** ბექან ვლადიმერის ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

**ხოხლოვი** ივანე მიხეილის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარე;

**მიქელაძე** გივი შალვას ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

**ჩხეიძე** დავით ნესტორის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი;

**კეშელავა** დავით ვიქტორის ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

**ლორთქიფანიძე** სიმონ სევერიანეს ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

**მიქელაძე** ირაკლი სოლომონის ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**მამაცაშვილი** დავით გიორგის ძე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

**ჯაბუა** გიორგი ანდრიას ძე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ქინქლაძე** ოთარ დანიელის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. მჟავანაძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1963 წლის 9 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**413** ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეომართა სამხედრო და პოლიტიკურ აღზრდაში დამსახურებისათვის, სსრ კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პროპაგანდაში, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მშრომელებთან ნაწილების და ქვედანაყოფების კავშირის განმტკიცებაში დამსახურებისათვის ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთი „ლენინსკოე ზნამია" დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1963 წლის 7 სექტემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**414** ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთის „ლენინსკოე ზნამიას" მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესაში ნაყოფიერი მუშაობისათვის ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთის „ლენინსკოე ზნამიას" მუშაკები დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. პეტრე კუზმას ძე **გოროვოი** — კომკავშირული ცხოვრების განყოფილების უფროსი.
2. ბორის ვიქტორის ძე **ვისონოვი** — რედაქციის ლიტერატურული მდივანი.
3. ალექსანდრე ივანეს ძე **ზაბელინი** — საბრძოლო და ფიზიკური მომზადების განყოფილების კორესპონდენტი-ორგანიზატორი.
4. ცოლაკ მკრტიჩის ძე **მარუქიანი** — გაზეთის გამომშვები.
5. ნიკოლოზ აირაპეტის ძე **მნაცაკანოვი** — გაზეთის გამომშვები.
6. დიმიტრი ვიქტორის ძე **უუკი** — პროპაგანდის განყოფილების კორესპონდენტი-ორგანიზატორი.
7. არჩილ ვასილის ძე **რევაზიშვილი** — სტამბის მბეჭდავი.
8. გაბრიელ თევდორეს ძე **სიზოვი** — სტამბის მბეჭდავი.
9. ვლადიმერ პეტრეს ძე **სოროკინი** — რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1963 წლის 7 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 415 ამხ. ვ. დ. კობახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისა და დამსახურებისათვის ამხ. ვლადიმერ დიმიტრის ძე **კობახიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1963 წლის 12 სექტემბერი.